

„შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პოლიტიკური
და საარჩევნო შესაძლებლობების გაძლიერება“

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო
ქუთაისი 2017



კვლევის განხორციელება შესაძლებელი გახდა პროექტის ფარგლებში: „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პოლიტიკური და საარჩევნო შესაძლებლობების გაძლიერება.“

პროექტი მხარდაჭერილია ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის პროექტის ფარგლებში - „საქართველოში კონკურენტული, სამართლიანი და ინკლუზიური საარჩევნო გარემოს ხელშეწყობა 2016-2018 საარჩევნო ციკლისთვის“.

გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს და შესაძლოა არ გამოხატავდეს დონორი ორგანიზაციების შეხედულებებს.

კვლევის ავტორი: ნინო თვალთვაძე

გამოცემაზე პასუხისმგებელი პირები: ნინო ხუხუა; ირმა ჰაველიაშვილი

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, სააგენტოს წერილობითი ნებართვის გარეშე

© 2017, ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო

შინაარსი

შესავალი	3
საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩო	4
ეროვნული კანონმდებლობის ანალიზი	9
საერთაშორისო კონვენცია და საქართველო	9
საქართველოს კონსტიტუცია	10
საქართველოს საარჩევნო კოდექსი.....	11
საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტები.....	12
ცენტრალური საარჩევნო კომისიის სამართლებრივი აქტები.....	13
პრაქტიკული გამოწვევები შშმ პირთა საარჩევნო უფლებების რეალიზაციის კუთხით	14
მცირეოდენი სტატისტიკა და ფაქტები	14
ფოკუს ჯგუფის შედეგები	18
ძირითადი მიგნებები.....	19

შესავალი

წარმოდგენილი კვლევა მომზადებულია ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს პროექტის „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პოლიტიკური და საარჩევნო შესაძლებლობების გაძლიერება“ ფარგლებში, რომელიც საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან პარტნიორობითა და USAID-ის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება. პროექტის სამოქმედო არეალია იმერეთის რეგიონი, პროექტის მიზანი გახლავთ, შშმ პირთა პოლიტიკური და საარჩევნო უფლებების რეალიზების ხელშეწყობა, არჩევნების სამართლიანად/დემოკრატიულად ჩატარებაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებების ანგარიშვალდებულების გაზრდა, საარჩევნო პროცესებისა და ამ პროცესებში არსებული კანონმდებლობის ანალიზის, საერთაშორისო სტანდარტებისა და კონვენციასთან შესაბამისობაში მოყვანის გზით.

პროექტის კვლევის მეთოდოლოგიის თანახმად, კვლევა მოიცავს სამ ნაწილს და თითოეული მათგანი წარმოადგენს წინა ნაწილისათვის შედარების საფუძველს. თითოეული კვლევა მოიცავს იმ პრაქტიკული გამოწვევების აღწერას, რომლებიც ხელს უშლის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს, განახორციელონ საკუთარი პოლიტიკური და საარჩევნო უფლებები, აგრეთვე კანონმდებლობის ანალიზსა და რეკომენდაციებს. დოკუმენტები ასევე შემოგვთავაზებს უცხო ქვეყნების გამოცდილების ანალიზს და საუკეთესო პრაქტიკას აღნიშნულ სფეროში.

კვლევის პირველი ნაწილი, როგორც საბაზისო დოკუმენტი, მოიცავს საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობის აღწერას, ერთგვარ ჩარჩოს, რომელიც განსაზღვრავს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პოლიტიკურ უფლებებს, ასევე მონაცემებს პრაქტიკაში არსებული სირთულეების და ბარიერების შესახებ, რაც ხელს უშლის ამ უფლებების რეალიზაციას. არანაკლებ მნიშვნელოვანია კვლევის ნაწილი, რომელიც აღწერს არსებულ მდგომარეობას და აჩვენებს თუ რა ღონისძიებებს ახორციელებს სახელმწიფო, რამდენად ადაპტირებულია საარჩევნო უბნები, რამდენად სრულყოფილია მონაცემთა ბაზა და რა ღონისძიებებს ატარებენ შესაბამისი სახელმწიფო უწყებები შშმ პირთა პოლიტიკური უფლებების რეალიზაციის კუთხით. წარმოდგენილი კვლევა ასევე ეყრდნობა, პროექტის ფარგლებში ჩატარებული სამი ფოკუს ჯგუფის ანალიზს, რომლებიც ორგანიზებულ იქნა იმერეთის სამ მუნიციპალიტეტში: ქუთაისში, ბაღდათსა და ზესტაფონში და რომელშიც მონაწილეობა მიიღო 30 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირმა.

კვლევის მეორე და მესამე ნაწილების ბოლოს წარმოდგენილი იქნება რეკომენდაციები, რომლებიც შემუშავდება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უშუალო ჩართულობით, პროექტის განხორციელების შედეგად დაგროვებული გამოცდილებითა და სხვადასხვა ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე.

საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩო

საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ მიღებულ იქნა 1966 წლის 16 დეკემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ, ხოლო საქართველოში მოქმედებს 1994 წლის 3 აგვისტოდან. აღნიშნული პაქტის 25-ე მუხლი განსაზღვრავს თითოეული მოქალაქის უფლებას რაიმე დისკრიმინაციისა და დაუსაბუთებელი შეზღუდვების გარეშე ჰქონდეს უფლება და შესაძლებლობა:

- ✦ მონაწილეობდეს სახელმწიფო საქმეთა წარმოებაში, როგორც უშუალოდ, ისე თავისუფლად არჩეული წარმომადგენლების საშუალებით.
- ✦ მისცეს ხმა და არჩეულ იქნას საყოველთაო პერიოდულ არჩევნებში, რომლებიც წარმოებს საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით და უზრუნველყოფს ამომრჩევლების სურვილის გამოვლინებას.
- ✦ თავის ქვეყანაში თანასწორ პირობებში შეეძლოს სახელმწიფოს სამსახურში შესვლა.

აღნიშნულ მუხლში მოცემული პოლიტიკური უფლებების ჩამონათვალი თავის მხრივ ეყრდნობა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 21-ე მუხლს, რომელიც ადგენს ყველა ადამიანის უფლებას თავისუფლებად და შეუზღუდავად მიიღოს მონაწილეობა სახელმწიფოს მართვაში, მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში და შევიდეს სახელმწიფო სამსახურში. გარდა ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტებისა, აღნიშნული უფლება გარანტირებულია ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით, კონვენციით ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, კონვენციით რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ და საერთაშორისო კონვენციით მიგრანტ მუშაკთა და მათი ოჯახის წევრების უფლებების დაცვის შესახებ.

კონკრეტულად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პოლიტიკური უფლებების გარანტს წარმოადგენს „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების საერთაშორისო კონვენციის“ 29-ე მუხლი, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის შესახებ. აღნიშნული მუხლი აწესებს ხელმომწერი სახელმწიფოების ვალდებულებას უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში თანაბარი, ეფექტური და სრულყოფილი მონაწილეობა, უშუალოდ ან თავისუფლად არჩეული წარმომადგენლების მეშვეობით, რაც გულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებას ხმა მისცენ და კენჭი იყარონ (არჩეული იქნენ). ამისათვის სხვა ზომებთან ერთად მათ უნდა¹:

¹ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2334289>

- ✚ უზრუნველყონ საარჩევნო პროცედურების, საშუალებებისა და მასალების ხელმისაწვდომი, მარტივად გასაგები ფორმატის არსებობა;
- ✚ დაიცვან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიერ არჩევნებისა და სახალხო რეფერენდუმების ფარულ კენჭისყრაში დაფარული, დაშინებისაგან თავისუფალი გზით მონაწილეობის, ასევე არჩევნებში საკუთარი კანდიდატურის დაყენების, სახელმწიფო მმართველობის ყველა დონეზე თანამდებობის დაკავებისა და საჯარო ფუნქციების შესრულების უფლება, საჭიროების შემთხვევაში დამხმარე და ახალი ტექნოლოგიების გამოყენების ხელშეწყობით;
- ✚ უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, როგორც ამომრჩეველთა, თავისუფალი ნების გამოხატვა და ამასთან დაკავშირებით, საჭიროების შემთხვევაში მათი თხოვნის საფუძველზე, მათ მიერ არჩეული პირის დახმარება კენჭისყრის პროცედურაში.

გარდა ამისა, აღნიშნული მუხლი ავალდებულებს ხელმომწერ ქვეყნებს აქტიურად დაუჭირონ მხარი ისეთი გარემოს შექმნას, სადაც უზრუნველყოფილი იქნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სახელმწიფო საქმეთა მართვაში სრული, ეფექტური, თანაბარი და ყოველგვარი დისკრიმინაციისაგან თავისუფალი მონაწილეობა; მათ შორის უზრუნველყონ:

- ✚ მონაწილეობა ქვეყნის სახელმწიფო და პოლიტიკურ ცხოვრებასთან დაკავშირებული არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ასოციაციების საქმიანობაში, პოლიტიკური პარტიების საქმიანობასა და ხელმძღვანელობაში.
- ✚ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციების ჩამოყალიბება და მათში განევრიანება, რათა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები წარმოდგენილ იყვნენ საერთაშორისო, ეროვნულ, რეგიონალურ და ადგილობრივ დონეებზე.

2011 წელს გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული დოკუმენტის² თანახმად, სახელმწიფო ვალდებულია მიიღოს შესაბამისი ზომები და იზრუნოს აღნიშნული უფლების რეალიზაციის ხელშეწყობად, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი პასიურობა წარმოადგენს შპმ პირთა უფლებების დარღვევას მიიღონ მონაწილეობა სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, თანაბარ საწყისებზე. მიუხედავად იმისა, რომ თავად კონვენცია არ გვთავაზობს განმარტებას თუ რას ნიშნავს „სახელმწიფო საქმეთა მართვაში სრული და ეფექტური მონაწილეობა“, ეჭვგარეშეა რომ შპმ პირებს უნდა ჰქონდეთ საშუალება და უფლება ჩაერთონ სახელმწიფო მართვის ყველა შესაძლო მექანიზმში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თავად მონაწილეობა არ წარმოადგენს მიზანს, მიზანს წარმოადგენს შპმ პირთა შეხედულებების რეალიზაციის უზრუნველყოფა,

² Thematic study by the Office of the United Nations High Commissioner for Human Rights on participation in political and public life by persons with disabilities– Human Rights Council Nineteenth session; გვ. 5

მათთვის საშუალების მიცემა შეცვალონ საზოგადოებრივი თუ სახელმწიფოებრივი საკითხები და მოახდინონ საკუთარი ხედვების სრულად რეალიზება.

კონვენციის 29-ე მუხლი არ უნდა იქნას განხილული ცალკე, დოკუმენტის სხვა მუხლებისაგან, რადგან მისი რეალიზება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული კონვენციის სხვა მუხლების იმპლემენტაციის ხარისხზე. კერძოდ, კონვენციის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის I ქვეპუნქტი ადგენს სახელმწიფოების ვალდებულებას მიიღონ ყველა საჭირო საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და სხვა ზომები კონვენციით გათვალისწინებული უფლებების უზრუნველყოფისათვის. თავისთავად აღნიშნული წინაპირობის გარეშე 29-ე მუხლის იმპლემენტაციაზე საუბარი უტოპიური იქნება. იგივე შეიძლება ითქვას, კონვენციის მე-9³, მე-12⁴-ე, მე 19⁵ ან 21⁶-ე მუხლების შესახებ, რომლებიც წარმოადგენენ შშმ პირების პოლიტიკური უფლებების რეალიზაციის საფუძველს.

მნიშვნელოვანია, აქვე განხილულ იქნას ევროპის საბჭოს მიერ მიღებული სამართლებრივი აქტები, რომლებშიც ხაზგასმულია შშმ პირთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის აუცილებლობის შესახებ, მათ შორის 2009 წელს, მინისტრთა კომიტეტის მიერ მიღებული რეკომენდაციები უნივერსალური დიზაინით სრული მონაწილეობის მიღწევის შესახებ⁷, 2010 წლის რეკომენდაციები შეზღუდული შესაძლებლობების

³ მუხლი 9 – 1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრებისა და ცხოვრების ყველა სფეროში მათი სრულყოფილი მონაწილეობისათვის, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები, რათა უზრუნველყონ ფიზიკური გარემოს, ტრანსპორტის, ინფორმაციისა და კომუნიკაციის, მათ შორის, ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და სისტემების, ასევე სხვა, საზოგადოებისათვის ღია ობიექტებისა და მომსახურების თანაბარი მისწავლობა როგორც ქალაქის, ასევე სოფლის პირობებში. აღნიშნული ზომები, რომელიც მოიცავენ არსებული წინააღმდეგობებისა და ბარიერების გამოვლენა-აღმოფხვრას, შეეხება:

⁴ მუხლი 12 1. მონაწილე სახელმწიფოები კიდევ ერთხელ ადასტურებენ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს უფლება აქვთ სამართლის სუბიექტად აღიარებაზე, სადაც არ უნდა იმყოფებოდნენ ისინი. 2. მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებაუნარიანობას სხვებთან თანასწორად, ცხოვრების ყველა სფეროში;

⁵ მუხლი 19 – წინამდებარე კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ყველა პირის თანაბარ უფლებას, სხვებთან თანასწორი არჩევანით იცხოვრონ საზოგადოებაში და იღებენ ეფექტურ და შესაბამის ზომებს, რათა ხელი შეუწყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ამ უფლების სრულ რეალიზებასა და მათ სრულყოფილ ჩართვას ადგილობრივ საზოგადოებაში;

⁶ მუხლი 21 – . მონაწილე სახელმწიფოები იღებენ შესაბამის ზომებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიერ საკუთარი აზრისა და რწმენის გამოხატვის უფლების უზრუნველსაყოფად, რაც მოიცავს ინფორმაციისა და იდეების მოძიების, მიღებისა და გამოყენების თანაბარ უფლებას მათ მიერ არჩეული ნებისმიერი სახის საკომუნიკაციო საშუალების გამოყენებით..

⁷ Recommendation CM/Rec(2009)8 on achieving full participation through Universal Design

მქონე ბავშვთა საზოგადოებრივი ცხოვრებისა და დენსტიტუციონალიზაციის შესახებ⁸, 2012 წლის რეკომენდაციები შებლუდული შესაძლებლობების მქონე ქალთა და გოგონათა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის შესახებ⁹, ისევე როგორც რეკომენდაციები დამტკიცებული 2013 წელს, რომელიც უზრუნველყოფს შებლუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისა და ახალგაზრდების სრულ ჩართულობას საზოგადოებაში¹⁰.

კვლევის თემატიკიდან გამომდინარე განსაკუთრებით საინტერესოა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ 2011 წლის 16 ნოემბერს დამტკიცებული რეკომენდაციები შებლუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის შესახებ. დაფუძნებული შებლუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ კონვენციაზე, დოკუმენტი მოუწოდებს ევროპულ სახელმწიფოებს უზრუნველყონ, რომ მათი კანონმდებლობა ზოგადად არ ახდენდეს შშმ პირთა დისკრიმინაციას და განსაზღვრავს, რომ ყველა შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირს, მიუხედავად იმისა, თუ რა ტიპის შებლუდვა გააჩნია – აქვს საარჩევნო უფლება და აღნიშნული უფლება არ უნდა იქნას ლიმიტირებული არანაირი სამართლებრივი საფუძვლით...აქვე უნდა აღვნიშნოთ, ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის მიერ 2014 წელს დამტკიცებული დოკუმენტის შესახებ – შშმ პირთა ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე ჩართულობასთან დაკავშირებით¹¹, სადაც აღნიშნულია, რომ ევროპის მაცხოვრებელთა დაახლოებით 15%-ს გააჩნია შებლუდული შესაძლებლობები და ყოველ მეოთხე ოჯახს ჰყავს ოჯახის წევრი გარკვეული შებლუდვით. შესაბამისად, ევროპის საბჭო აღიარებს მომეტებულ საჭიროებას დაცულ იქნას შშმ პირთა უფლებები და შესრულდეს 2006–2015 წ.წ. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებები. თუმცა აქვე აღნიშნავს, რომ ევროპაში ბევრი შშმ პირი ვერ ახერხებს და ხვდება სირთულეებს საკუთარი საარჩევნო უფლების განხორციელების გზაზე, ისევე როგორც განიცდის როგორც ფიზიკური ასევე არა ფიზიკური (პოლიტიკის განხორციელების დონეზე) ადაპტირებული გარემოს ნაკლებობას. ანგარიშში განსაკუთრებით ხაზგასმულია ასეთი სირთულეების არსებობა ადგილობრივ დონეზე და კონგრესი შემდეგი რეკომენდაციებით მიმართავს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებების წარმომადგენლებს:

⁸ Recommendation CM/Rec (2010)2 on deinstitutionalisation and community living of children with disabilities

⁹ Recommendation CM/Rec(2012)6 on the protection and promotion of the rights of women and girls with disabilities;

¹⁰ Recommendation CM/Rec(2013)2 on ensuring full inclusion of children and young persons with disabilities into society;

¹¹ <https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?p=&id=2239215&direct=true>

- ✚ შპმ პირთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების ჩართულობით შეიმუშაონ და დაამტკიცონ ადგილობრივი და რეგიონული სტრატეგიული დოკუმენტები და სამოქმედო გეგმები, რათა უზრუნველყოფილ იქნას:
 - 1.1. აღნიშნული საკითხის გათვალისწინება ყველა ადგილობრივ და რეგიონულ დოკუმენტში;
 - 1.2. უზრუნველყონ ინფრასტრუქტურის, საქონლისა და სერვისების, ინფორმაციისა და კომუნიკაციის ხელმისაწვდომობა;
 - 1.3. უზრუნველყონ სოციალური უფლებების ხელმისაწვდომობა, როგორც არის ინკლუზიური განათლება, დასაქმება და პროფესიული განათლება, ჯანდაცვა და საცხოვრებელი გარემო;
- ✚ შექმნან შესაბამისი ადგილობრივი და რეგიონული საბჭოები, რათა უზრუნველყოფილ იქნას არსებული სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების იმპლემენტაციის კოორდინირება და შექმნან სათანადო მექანიზმები შპმ პირთა ეფექტური ჩართულობის უზრუნველსაყოფად და მათი წარმომადგენლობა გადანყვეტილების მიღების ყველა ეტაპზე და დონეზე;
- ✚ შეიმუშაონ შესაბამისი სახელმძღვანელოები შპმ პირთათვის, რათა ხელი შეუწყონ მათ ხელმისაწვდომობას საგანმანათლებლო, დასაქმების, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამებით სარგებლობისათვის და თემში მისაწოდებელი სერვისების შესახებ ინფორმაციის მისაღებად; ასევე ხელი შეუწყონ სხვადასხვა მონაწილეთა დაკავშირებას ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე საგანმანათლებლო სისტემაში, დასაქმების სფეროსა და ჯანდაცვის დარგში;
- ✚ განახორციელონ სპეციალიზირებული პროგრამები და ღონისძიებები, რომლებიც ეხება შპმ პირთა პროფესიულ გადამზადებასა და სამუშაოზე აყვანის პროგრამებს, ისევე როგორც მათ სამუშაო გარემოს;
- ✚ შეიმუშაონ ინკლუზიური საგანმანათლებლო პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს მასში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა ჩართულობას, ისევე როგორც ახალგაზრდებისა და მათი მშობლების, და საგანმანათლებლო სფეროში მომუშავე ორგანიზაციების მონაწილეობას, და მოახდინონ სასკოლო აღჭურვილობის ადაპტირება.
- ✚ განახორციელონ მიზანმიმართული პროგრამები ჯანდაცვის მუშაკების, პრაქტიკოსებისა და მომსახურების სფეროს წარმომადგენელთათვის, რომლის მიზანიც იქნება მოახდინოს მათი აღჭურვა სათანადო ცოდნითა და უნარ ჩვევებით, თუ როგორ უნდა მართონ შპმ პირთა ჯანმრთელობის პრობლემები და გააუმჯობესონ მათი ხელმისაწვდომობა შესაბამისი ჯანდაცვის პროგრამებით სარგებლობის მიზნით;

ხოლო, რაც შეეხება კონკრეტულად შპმ პირთა პოლიტიკური უფლებების რეალიზებას ადგილობრივი დონეზე, ანგარიში ნათქვამია, რომ „მონაწილეობა პოლიტიკურ ცხოვრებაში გულისხმობს შპმ პირთა ჩართულობას გადანყვეტილების მიღების პროცესში იმ სფეროებში, რომლებიც გავლენას ახდენს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების ცხოვრებაზე. ამ მხრივ, მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM / Rec (2011) 14 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პოლიტიკურ და

საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის შესახებ აცხადებს, რომ "შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და / ან მათი წარმომადგენლები უნდა იყვნენ ჩართული პოლიტიკის განხორციელების მთელ ციკლში: პროგრამირების, დაგეგმვის, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების ეტაპებზე, რომელიც გავლენას იქონიებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ცხოვრებაზე. ხმის მიცემის უფლება და არჩევნებში მონაწილეობა პირველ რიგში უზრუნველყოფს მოქალაქეთა მონაწილეობას პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში".

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღება შეიძლება შემდეგნაირად:

- ✚ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მიერ არჩევნებში ხმის მიცემის უფლებისა და კანდიდატად ყოფნის უფლების უზრუნველყოფით,
- ✚ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ჩართულობით გადანაცვტილების მიღების პროცესებში, რომლებიც გავლენას ახდენს მათ ყოველდღიურ ცხოვრებაზე.

დასახელებული აქტები წარმოადგენენ ბაზას შშმ პირთა პოლიტიკური უფლებების რეალიზაციისათვის; საქართველომ საერთაშორისო კონვენციას შშმ პირთა უფლებების შესახებ ხელი ჯერ კიდევ 2009 წელს მოაწერა, თუმცა დოკუმენტი სავალდებულო ძალის მქონე 2014 წლის აპრილიდან არის (მას შემდეგ, რაც 2013 წლის 26 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მოახდინა მისი რატიფიცირება). სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს კონვენციაში მოცემული სტანდარტების ჰარმონიზაცია, იმპლემენტაცია და დაცვა.

ეროვნული კანონმდებლობის ანალიზი

გამომდინარე იქიდან, რომ წარმოდგენილი კვლევის საგანს, კონკრეტულად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პოლიტიკური უფლებები, მათ შორის საარჩევნო უფლებების რეალიზაცია წარმოადგენს, აღნიშნულ თავში განხილული იქნება მხოლოდ ის სამართლებრივი აქტები, რომელიც აღნიშნული უფლების რეალიზაციას უზრუნველყოფს.

საერთაშორისო კონვენცია და საქართველო

როგორც წინა თავში აღვნიშნეთ, საქართველომ 2014 წლიდან აიღო ვალდებულება უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ კონვენციით გათვალისწინებული მუხლების იმპლემენტაცია და დაცვა. აღნიშნული წარმოადგენს საფუძველს იმისა, რომ ამოქმედდეს მონიტორინგის მექანიზმი, რომელიც შეაფასებს კონვენციით გათვალისწინებული პრინციპებისა და დებულებების იმპლემენტაციას. ამ პროცესის მონიტორინგისთვის ეროვნულ დონეზე სხვადასხვა მექანიზმების

არსებობა გათვალისწინებულია დოკუმენტის 33-ე მუხლით. წევრ სახელმწიფოებს ეკისრებათ ვალდებულება, განსაზღვრონ ერთი ან რამდენიმე ძირითადი ორგანო მთავრობაში (საკონტაქტო უწყება), რომლის ფუნქცია იქნება კონვენციის იმპლემენტაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობა და კოორდინაცია. ასევე, სახელმწიფო ვალდებულია დაასახელოს ან გააძლიეროს ერთი ან რამდენიმე დამოუკიდებელი მექანიზმი კონვენციის იმპლემენტაციის პოპულარიზაციის, დაცვისა და მონიტორინგისთვის. 2014 წლის ოქტომბერში, ასეთ მექანიზმზე პასუხისმგებელ ორგანოდ საქართველოში დასახელდა საქართველოს სახალხო დამცველი.

საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული კონვენციის მონიტორინგის მექანიზმი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დეპარტამენტთან ერთად მოიცავს შშმ პირთა უფლებების კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგის საკონსულტაციო საბჭოს და მონიტორინგის ჯგუფს. აღნიშნული მექანიზმის გამოყენებით, სახალხო დამცველი პერიოდულად აქვეყნებს ანგარიშებს.

საქართველოს კონსტიტუცია

საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავი მოიცავს დებულებებს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ. კონსტიტუციის 28-ე მუხლის თანახმად:

- ❖ საქართველოს ყოველ მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან აქვს რეფერენდუმში, სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის უფლება. უზრუნველყოფილია ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლინება.
- ❖ არჩევნებსა და რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება არა აქვს მოქალაქეს, რომელიც სასამართლომ ქმედუვნაროდ ცნო ან სასამართლოს განაჩენით იმყოფება სასჯელის აღსრულების დანესებულებაში, გარდა იმ პირისა, რომელმაც ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საარჩევნო უფლებების განხილვის დროს განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია შევხებით, ტერმინის ქმედუვნარობის განმარტებას, იქიდან გამომდინარე, რომ 28-ე მუხლის მეორე პუნქტი, ქმედუვნარო პირს უზღუდავს არჩევნებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობას; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, 2014 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, არაკონსტიტუციურად ცნო ქმედუვნარიანობის იმ დროისათვის მოქმედი საკანონმდებლო რეგულაციები და ძალაში შევიდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ კონვენცია; საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის სარჩელის საფუძველზე საკონსტიტუციო სასამართლომ საქართველოს კონსტიტუციის მე-14 და მე-16 მუხლთან შეუსაბამოდ სცნო სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ქმედუვნარობის მოდელი, რომელიც ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირის ნებას ბლანკეტურად ანაცვლებდა მეურვის ნებით. საქართველოს პარლამენტმა მიიღო საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი,

რომლის მიზანსაც წარმოადგენდა პლენარული მეურვეობის საპირისპიროდ შემოეტანა „მხარდამჭერის ინსტიტუტი“ და სამართალსუბიექტად ეცნო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი. პლენარული მეურვეობა, რაც გულისხმობდა პირისათვის ქმედუნარიანობის სრულად ჩამორთმევას, უდრიდა „სამოქალაქო სიკვდილს“ აღნიშნული პირისათვის. 2015 წლისათვის ჩვენს ქვეყანაში 3500 ასეთი მოქალაქე ცხოვრობდა. სამწუხაროდ სახალხო დამცველის 2016 წელს გამოცემული ანგარიშის¹² თანახმად, „კანონმდებლობის აღსრულების და შესაბამისად, მხარდამჭერის ინსტიტუტის დანერგვის პროცესი ხელისუფლების სხვადასხვა შტოს მიერ სერიოზული ხარვეზებით მიმდინარეობს, რაც გვაფიქრებინებს, რომ რეფორმა რეალურად ეფექტიანად არ ხორციელდება და უკეთესობისკენ ვერ შეცვალა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანთა ცხოვრება“.

საქართველოს საარჩევნო კოდექსი

საქართველოს საარჩევნო კოდექსი ადგენს აქტიური და პასიური საარჩევნო უფლების განმარტებას, მე-3 მუხლის თანახმად:

- ✚ აქტიური საარჩევნო უფლება აქვს საქართველოს ყველა მოქალაქეს, რომელსაც არჩევნების/რეფერენდუმის/პლებისციტის დღემდე შეუსრულდა ან იმ დღეს უსრულდება 18 წელი და რომელიც აკმაყოფილებს ამ კანონით დადგენილ პირობებს, გარდა იმ პირებისა, რომლებსაც საქართველოს კონსტიტუციით ან/და მის შესაბამისად ამ კანონით შეზღუდული აქვთ აქტიური საარჩევნო უფლება;
- ✚ პასიური საარჩევნო უფლება აქვს საქართველოს ყველა მოქალაქეს, რომლებიც აკმაყოფილებენ ამ კანონით დადგენილ პირობებს, გარდა იმ პირებისა, რომლებსაც საქართველოს კონსტიტუციითა და ამ კანონით შეზღუდული აქვთ პასიური საარჩევნო უფლება;
- ✚ არჩევნებში, რეფერენდუმსა და პლებისციტში მონაწილეობის უფლება არ აქვს საქართველოს მოქალაქეს, რომელიც სასამართლოს განაჩენის საფუძველზე მოთავსებულია პენიტენციურ დაწესებულებაში, გარდა იმ პირისა, რომელსაც ჩადენილი აქვს ნაკლებად მძიმე დანაშაული, აგრეთვე მხარდაჭერის მიმღებს, თუ იგი „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მოთავსებულია სტაციონარულ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში;—ამგვარად, არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვთ ყველა მხარდაჭერის მიმღებ პირს, თუ ისინი ფსიქიატრიულ სტაციონარში არ არიან მოთავსებული.

კოდექსის 63-ე მუხლი ადგენს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვალდებულებას უზრუნველყოს ისეთი ტექნოლოგიის გამოყენება, რომელიც მხედველობის გამო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე

¹² <http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3948.pdf>

ამომრჩევლებს საარჩევნო ბიულეტენის დამოუკიდებლად შევსების საშუალებას მისცემს. ხოლო თუ ამომრჩეველს არ შესწევს უნარი დამოუკიდებლად შეავსოს ბიულეტენი უფლება აქვს კაბინაში დასახმარებლად მიიწვიოს პირი, კანონმდებლობით დადგენილი გამონაკლისების გარდა. უზრუნველყოფილია ასევე გადასატანი ყუთის არსებობაც, იმ ამომრჩეველთათვის ვისაც არ შესწევთ უნარი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, მივიდნენ საარჩევნო უბანზე.

აღსანიშნავია, ისიც რომ საარჩევნო უბნის მონაცობისას, საარჩევნო უბნისთვის ისეთი შენობა-ნაგებობა უნდა გამოიყოს, რომელიც ყველა ამომრჩევლისათვის იქნება ხელმისაწვდომი, ხოლო ასეთი შენობა-ნაგებობის არარსებობის შემთხვევაში საარჩევნო უბნისთვის გამოყოფილი შენობა-ნაგებობა, სადაც ეს შესაძლებელია, მისი გადამცემი ორგანოს მიერ კენჭისყრის დღისთვის ადაპტირებული უნდა იქნეს ყველა ამომრჩევლისათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.

მნიშვნელოვანია კოდექსის ის დანაწესები, რომლებიც საინფორმაციო კამპანიის წარმოებას ეხება და ადგენს ვალდებულებას, რომ ფასიანი პოლიტიკური რეკლამის განთავსების დროს უზრუნველყოფილი იყოს სურდოთარგმანი, რაც რეკლამის წარმდგენი საარჩევნო სუბიექტის ვალდებულებაა;

საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტები

საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულ 2014–2016 წლების სამოქმედო გეგმაში, რომელიც ეხება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას, XI პუნქტი განსაზღვრავს შშმ პირთა ჩართულობას პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ადგენს რომ 2014–2016 წლებში, სახელმწიფო იღებს ვალდებულებას შემდეგზე:

- ✚ უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩეველთა თანაბარი საარჩევნო გარემო და
- ✚ ხელი შეუწყოს შშმ პირთა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ გაერთიანებებში საქმიანობას.

აღნიშნულის მისაღწევად დაგეგმილი გახლდათ შემდეგი ღონისძიებების განხორციელება:

1. გადაადგილების შეზღუდვის მქონე ამომრჩევლებისათვის საარჩევნო უბნების ადაპტირება, მუდმივი/დროებითი პანდუსების მონაცობა;
2. გადაადგილების შეზღუდვის მქონე ამომრჩევლებისათვის ხმის მიცემის სპეციალური კაბინების დამზადება/შესაბამის უბნებზე განთავსება.

3. სმენადაქვეითებული ამომრჩევლისთვის საარჩევნო პროცედურების შესახებ ვიდეო რგოლის სურდლოთარგმანით (ჟესტური ენა) უზრუნველყოფა და საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში განთავსება. იდენტიფიცირებულ უბნებზე პორტატული კომპიუტერების გამოყენებით ვიდეო რგოლის გავრცელება.
4. უსინათლო ამომრჩევლებისათვის არჩევნებში მონაწილეობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
5. პოლიტიკური და საზოგადოებრივი გაერთიანებების საქმიანობაში შშმ პირთა მონაწილეობის გაზრდის მიზნით, საინფორმაციო კამპანიის ჩატარება;

აღნიშნული ღონისძიებების განხორციელებაზე პასუხისმგებელ ორგანოებად განსაზღვრულია ცენტრალური საარჩევნო კომისია, სხვა შესაბამის დაწესებულებებთან ერთად, როგორცაა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, საზოგადოებრივი მაუწყებელი, დონორი ორგანიზაციები;

ცენტრალური საარჩევნო კომისიის სამართლებრივი აქტები

2016 წლის ბოლოს, პროექტის ფარგლებში გამოთხოვილ იქნა საჯარო ინფორმაცია ცენტრალური საარჩევნო კომისიიდან, რომელის თანახმადაც ირკვევა, რომ საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ დამტკიცებულ იქნა 2015–2019 წლების სტრატეგიული გეგმა, ხოლო 2014, 2015 და 2016 წლებში შემუშავებულ იქნა სამოქმედო გეგმები, რომლის დამტკიცების ვალდებულებასაც საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-14 მუხლის ბ) ქვეპუნქტი ითვალისწინებს. სტრატეგიის თანახმად: საარჩევნო ადმინისტრაცია ატარებს მიზნობრივ სამუშაოს ეთნიკურ უმცირესობებთან, მონყვლად ჯგუფებთან, ახალგაზრდებთან და ქალებთან მათი საარჩევნო და სამოქალაქო აქტივობის გაზრდის მიზნით.

2015 წელს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გამოსცა ანგარიში „ინკლუზიური საარჩევნო გარემოს ხელშეწყობა; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ განხორციელებული საქმიანობა“; აღნიშნული დოკუმენტი ასახავს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ განხორციელებულ საქმიანობას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საარჩევნო პროცესებში ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით. მისასაღმებელია, რომ ცესკო ზრუნავს შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე ჯგუფის გაძლიერებაზე და ამასთანავე ხელს უწყობს შშმ პირების დასაქმებას საარჩევნო ადმინისტრაციაში. ანგარიშის თანახმად: „2015 წელს ცესკოს კონტაქტ-ცენტრსა და საფინანსო დეპარტამენტში 6 თვის ვადით დასაქმდნენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 2 პირი. ცესკოს კონტაქტ-ცენტრში დასაქმებული ოპერატორი ახდენდა საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირთა ინფორმირებას, ხოლო საფინანსო დეპარტამენტის თანამშრომელი უზრუნველყოფდა სხვადასხვა ფინანსური ცხრილების მომზადებას.“ 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისთვის ცესკოს სატელეფონო/საინფორმაციო ცენტრში მოხდა 4 შშმ პირის დასაქმება. აღსანიშნავია, რომ დასაქმებულთა შორის იყო ერთი უსინათლო. დასაქმების პარალელურად ცესკომ უზრუნველყო შშმ პირების კვალიფიკაციის ამაღლება და მათი შესაძლებლობების განვითარება.

პრაქტიკული გამოწვევები შპმ პირთა საარჩევნო უფლებების რეალიზაციის კუთხით

კვლევის აღნიშნულ ნაწილში ვეცდებით წარმოვადგინოთ პროექტის ფარგლებში მოძიებული მონაცემების ანალიზი, გავითვალისწინოთ ჩატარებული ფოკუს ჯგუფების შედეგები და მიღებული სურათის საფუძველზე შევქმნათ საფუძველი რეკომენდაციებისათვის.

მცირეოდენი სტატისტიკა და ფაქტები

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად:

- ❖ საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის 73 საარჩევნო ოლქში შემავალი 3 634 საარჩევნო უბნიდან 1115 – (30.68%) (მარტივი ადაპტაცია, პანდუსი) უბანი იყო ადაპტირებული მათ შორის ქალაქ თბილისში ხელმისაწვდომი იყო 271, საარჩევნო უბანი, ხოლო რეგიონებში 844 უბანი – საარჩევნო უბანი ხელმისაწვდომი იყო ფიზიკური შეზღუდვის მქონე ამომრჩევლებისათვის;
- ❖ უსინათლო ამომრჩევლებისთვის საარჩევნო ბიულეტენის შესავსები ჩარჩო გავრცელდა საქართველოს მასშტაბით 3634 საარჩევნო უბანზე.
- ❖ ცესკომ უზრუნველყო საარჩევნო ბიულეტენში არსებული საარჩევნო სუბიექტების რიგითობის შესახებ ინფორმაციის მომზადება აუდიო ფორმატში და ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება;
- ❖ მცირემხედველი ამომრჩევლებისათვის – ყველა საარჩევნო უბანზე განთავსებული იყო 2 გამაღიანებელი ლინზა. ფიზიკური შეზღუდვის მქონე ამომრჩევლებისათვის – ხელმისაწვდომ საარჩევნო უბნებზე სპეციალური ხმის მიცემის კაბინები. ყრუ ამომრჩევლებისათვის – ყველა საარჩევნო უბანზე გამოკრული იყო ხმის მიცემის პროცედურების ამსახველი პოსტერი.
- ❖ საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდთან (IFES) თანამშრომლობით, საარჩევნო ადმინისტრაციამ შეიმუშავა შპმ ამომრჩევლებთან საუბრის ეტიკეტისა და ქვევის ნორმების დაცვის შესახებ სახელმძღვანელო და (საარჩევნო პროგრამების აუდიოვერსია განთავსებულია ამომრჩეველთა საინფორმაციო ვებგვერდზე -www.partiebi.ge) სპეციალური სატრენინგო მოდული. აღნიშნული მოდულის მიხედვით, საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის, განხორციელდა 170 ტრენინგის გადამზადება. ტრენინგებმა თავის მხრივ, საქართველოს მასშტაბით, მოახდინეს ტრენინგის ჩატარება საუბნო საარჩევნო კომისიის 47 242 წევრისთვის.
- ❖ უსინათლო ამომრჩევლებისათვის საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის აუდიო ფორმატში მომზადდა ინფორმაცია რეგისტრირებული პოლიტიკური პარტიების, საარჩევნო ბლოკების და კანდიდატების შესახებ. ამასთან, ცესკოსთან კოორდინაციით საერთაშორისო ორგანიზაციამ „ნიდერლანდების ინსტიტუტი მრავალპარტიული დემოკრატიისათვის“ (NIMD) პროექტის


ფარგლებში არასამთავრობო ორგანიზაციამ „საქართველოს უსინათლოთა კავშირი“ უზრუნველყო პოლიტიკური პარტიების საარჩევნო პროგრამების აუდიო ვერსიის მომზადება, რომელიც განთავსებულია ვებგვერდზე.

- ❖ ყრუ ამომრჩევლებისათვის - ცესკოს ყველა საინფორმაციო ვიდეო რგოლები თარგმნილი იყო სურდოთარგმანის თანხლებით (ჟესტური ენა). ასევე, ცესკოს საინფორმაციო ბრიფინგები პირდაპირ ეთერში შექდებოდა სურდოთარგმანის თანხლებით (ჟესტური ენა).
- ❖ ფიზიკური შეზღუდვის მქონე ამომრჩევლებისთვის (მოთხოვნის შესაბამისად) 13 საარჩევნო უბანზე განთავსდა პორტატული (მოძრავი) პანდუსები;

გამომდინარე იქიდან, რომ პროექტის სამოქმედო არეალს განეკუთვნება იმერეთის რეგიონი, გამოთხოვილ იქნა ასევე სტატისტიკური მონაცემები დაკავშირებული უშუალოდ რეგიონთან.

ქუთაისის #59 საოლქო საარჩევნო კომისიიდან მიღებული ინფორმაციით ირკვევა, რომ ყველა უბანი აღჭურვილი იყო გამადიდებელი ლინზითა და ბრაილის ჩარჩოთი, ხოლო შშმ პირების კაბინები იყო 25 უბანზე.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2014 წლის 15 ივნისის ადილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდგომ, ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ მომზადებულ იქნა ანგარიში, რომელიც შეიცავს მათ შორის დეტალურ სტატისტიკას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა არჩევნებში მონაწილეობის შესახებ. წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად, 2014 წლის 15 ივნისს, არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 4 883 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ამომრჩეველმა, მათ შორის:



მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ 2014 წლის ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისათვის საქართველოს მასშტაბით ადაპტირებული 464 უბნიდან, იმერეთის მასშტაბით ადაპტირებული გახლდათ შემდეგი უბნები:

მუნიციპალიტეტის დასახელება	ადაპტირებული უბნების რაოდენობა
ქუთაისი	19
ბაღდათი	3
თერჯოლა	4
საჩხერე	5
ჭიათურა	3
წყალტუბო	5
ხარაგაული	12

რაც შეეხება თავად შშმ პირთა სტატისტიკურ მონაცემებს იმერეთის რეგიონის მასშტაბით, საქსტატის მიერ მონოღებული ინფორმაციის თანახმად, შშმ პირთა რაოდენობა მუნიციპალიტეტების და შემლუდვის სახის შესაბამისად, შემდეგნაირად გამოიყურება:

	მხედველობის მნიშვნელოვანი დარღვევა	სმენის მნიშვნელოვანი დარღვევა	გადაადგილების, დგომის დარღვევა	ცნობიერების, კონცენტრირების, მეხსიერების დარღვევა	კომუნიკაციის უნარის დარღვევა	თვითმომსახურების უნარის დარღვევა	
იმერეთი	533,906	17,914	7,992	12,206	3,930	3,092	4,704
ქ. ქუთაისი	147,635	4,013	1,374	2,514	710	495	865
ბაღდათის მუნიციპალიტეტი	21,582	889	396	592	180	139	254
ვანის მუნიციპალიტეტი	24,512	852	492	711	337	269	298
ზესტაფონის მუნიციპალიტეტი	57,628	1,734	791	1,171	290	240	405
თერჯოლის მუნიციპალიტეტი	35,563	1,462	650	1,061	328	252	373
სამტრედიის მუნიციპალიტეტი	48,562	1,210	510	726	279	228	366
საჩხერის მუნიციპალიტეტი	37,775	801	437	763	275	220	319
ტყებულის მუნიციპალიტეტი	20,839	923	402	631	206	169	261
წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	56,883	2,136	1,007	1,397	500	430	632
ჭიათურის მუნიციპალიტეტი	39,884	1,836	948	1,264	396	336	476
ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	19,473	1,221	582	823	224	176	240
ხონის მუნიციპალიტეტი	23,570	837	403	553	205	138	215

წარმოდგენილი ციფრები ცხადყოფს, რომ აღნიშნულ რეგიონში საკმაოდ დიდია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა რაოდენობა. პროექტის სამოქმედო არეალი განსაზღვრული იქნა სწორედ

აღნიშნული მაჩვენებლების გამო, კერძოდ იმერეთის რეგიონში, შშმ პირთა რიცხვი და მათი პროცენტული წილი რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობასთან მიმართებით მაღალია. კერძოდ, შშმ პირთა მაჩვენებელი 23 451–ია, რაც მოსახლეობის 4.4% წილს წარმოადგენს. შესაბამისად, ძალზედ მნიშვნელოვანია სათანადოდ იქნას უზრუნველყოფილი მათი საარჩევნო და პოლიტიკური უფლებების განხორციელების მყარი საფუძვლების შექმნა სახელმწიფოს მხრიდან. ფაქტობრივი ანალიზის შემდეგ, რაც სახელმწიფოს მხრიდან ამ მიმართულებით განხორციელებულ ღონისძიებებს აღწერს, წარმოგიდგინოთ სამი ფოკუს ჯგუფის ანალიზს, რომელიც ასახავს ინფორმაციას თუ რამდენად ხელმისაწვდომია ადგილზე მაცხოვრებელი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის საარჩევნო უფლებების რეალიზაცია.

ფოკუს ჯგუფის შედეგები

კვლევის მომზადების მომენტისათვის ჩატარებულ იქნა სულ სამი ფოკუს ჯგუფი, იმერეთის სამ მუნიციპალიტეტში: ქალაქ ქუთაისში, ბაღდათსა და ზესტაფონში.

მონაწილე რესპონდენტთა კრიტერიუმები: შეხვედრებს სულ ესწრებოდა 30 შშმ პირი, ჯგუფის შერჩევას დასული იყო ჰომოგენურობის პრინციპი საკვლევ თემატიკასთან მიმართებაში. ასევე, გათვალისწინებული იყო რესპონდენტთა შეზღუდული შესაძლებლობის ფორმა, პროფესიული და დემოგრაფიული მახასიათებლები.

საკვლევი თემატიკა: შშმ პირთა პოლიტიკური და საარჩევნო უფლებების რეალიზაცია საქართველოში

საკვლევი თემატიკის ძირითადი ბლოკები:

- ✚ შშმ პირთა პოლიტიკურ/საარჩევნო უფლებების რეალიზება - არსებული პრაქტიკა/გამოცდილება;
- ✚ შშმ პირთა პოლიტიკური და საარჩევნო უფლებების რეალიზაციისათვის აუცილებელი საჭიროებების იდენტიფიცირება;
- ✚ საარჩევნო ადმინისტრაციის შენობების ადაპტირების ხარისხი;
- ✚ არჩევნების სამართლიანად და დემოკრატიულად ჩატარებაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებების ანგარიშვალდებულების ხარისხი;
- ✚ შშმ პირთა უფლებების შესახებ ქვეყნის შიდა და საერთაშორისო კანონმდებლობის ცოდნის ხარისხი;
- ✚ ინფორმაცია საზღვარგარეთ ქვეყნების პრაქტიკის შესახებ;

ძირითადი მიგნებები:

რესპონდენტთა უმეტესობის აზრით, შპმ პირები აქტიურად არ არიან ჩართული საარჩევნო პროცესებში. თუმცა ქუთაისში ჩატარებული ფოკუს ჯგუფის წევრები ამბობენ, რომ მათ მეტნაკლებად ჩართვის საშუალება გააჩნიათ. რესპონდენტები თანხმდებიან, რომ წინასაარჩევნო პერიოდში მათდამი ყურადღება იზრდება, მაგრამ პოლიტიკური პარტიები მხოლოდ მანიპულირებენ ამ თემით და არჩევნების დასრულების შემდეგ აქტივობები აღარ გრძელდება.

საარჩევნო პროცესებში ჩართულობის შემაფერხებელ გარემოებებად ფოკუს ჯგუფის მონაწილეები ასახელებენ:

- ✚ ინფორმაციის ნაკლებობას;
- ✚ საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპებს – *„ძალიან რთულია, როცა აცნობიერებ რომ შეზღუდული შესაძლებლობები გაქვს, შინაგანად გაქვს სხვადასხვა საქმიანობის განხორციელების მოთხოვნილება, მაგრამ თითქოს ხელფები გაქვს შეკრული, ყველაზე დიდი საშინელებაა, როცა ადამიანებისაგან მხარდაჭერის ნაცვლად სიბრაულეს გრძნობ“.*
- ✚ მისასვლელი გზების, ქუჩების არაადაპტირებულობას – *„ჩვენს ქვეყანაში როცა საუბრობენ შპმ პირთათვის ადაპტირებულ გარემოზე ძირითადად გულისხმობენ ეტლით მოსარგებლებს. სამუხაროდ არც საარჩევნო უბნებზე და არც ზოგადად ქუჩებში არ არის ადაპტირებული გარემო შეზღუდული მხედველობის, სმენადაქვეითებული და გონებრივად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის, რომლებთაც შესაბამისი მანიშნებლები ესაჭიროებათ დამოუკიდებელი გადაადგილებისთვის“;*
- ✚ საზოგადოებრივი ცნობიერების დაბალი დონეს – *„საზოგადოებრივ ცხოვრებაში, პოლიტიკურ და საარჩევნო პროცესებში აქტიური მონაწილეობის მისაღებად აუცილებელია შპმ პირთა ცნობიერების ამაღლება, შპმ პირებს საზოგადოების სხვა წევრებისაგან განსხვავებით დაბალი მოტივაცია აქვთ, რომ დამოუკიდებლად მოიძიოს ინფორმაცია, ასევე გააჩნიათ რიგი კომპლექსები. საჭიროა ამ ხალხის დახმარება, როგორც ფიზიკურად ისე მორალური თვალსაზრისით – მთელ საზოგადოების ცნობიერებაზე საშუალო“*
- ✚ შპმ პირთა მძიმე ფინანსური მდგომარეობას;

გამოკვეთილ ტენდენციად უნდა აღინიშნოს, რომ გამოკითხული 30 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირიდან, არც ერთს არასდროს არ მიუმართავს წერილით, საჩივრით, სარჩელით სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოებისადმი საკუთარი საარჩევნო და პოლიტიკური უფლებების დაცვის მიზნით. აღნიშნული შედეგი, მით უფრო საგანგაშოა თუ გავითვალისწინებთ, იმ გარემოებას რომ ფოკუს ჯგუფში შპმ პირთა მეტ ნაკლებად აქტიური წარმომადგენლები მონაწილეობდნენ;

დადებითად უნდა შეფასდეს, ერთ–ერთი რესპონდენტის გამოცდილება მონაწილეობა მიელო საარჩევნო პროცესში, როგორც დამკვირვებელს;

საარჩევნო უბნების ადაპტირების შესახებ განსახვავებული გამოცდილება არსებობს. ნაწილი რესპოდენტებისა თვლის, რომ გარემო არაადაპტირებულია, ხოლო ნაწილი მიიჩნევს რომ აღნიშნული პრობლემა არ დგას. ყველა მათგანი პრობლემად ასახელებს საზოგადოების მზაობის ნაკლებობას, მათ შორის თავად ოჯახების არასწორ დამოკიდებულებას ხელი შეუწყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები სრულყოფილად ჩართვას საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში;

რესპოდენტთა უმრავლესობას არ გააჩნია სრულყოფილი წარმოდგენა ეროვნული კანონმდებლობის თუ საერთაშორისო აქტების შესახებ. რამდენიმე მათგანს სმენია კანონში შესული ცვლილებების შესახებ მხარდამჭერი პირის სტატუსის მინიჭების თაობაზე, თუმცა სიღრმისეულ ინფორმაციას არ ფლობენ.

რესპოდენტთა უმრავლესობას არ გააჩნია ინფორმაცია სხვა ქვეყნებში არსებული პრაქტიკის შესახებ; თუმცა აღნიშნავენ რომ მსგავსი პრაქტიკის გაცნობა და გაანალიზება ძალიან მნიშვნელოვანია სახელმწიფოსთვის შემდგომი გადამწყვეტილების მიღების პროცესში;

შუალედური რეკომენდაციები ანგარიშის მომზადების პერიოდისათვის ჩატარებული ფოკუს ჯგუფების შედეგებზე დაყრდნობით

1. შშმ პირთა და მათი ოჯახის წევრთა ცნობიერების ამაღლების აუცილებლობა ჩატარებული ფოკუს ჯგუფები ადასტურებს, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უმრავლესობას არ აქვს სრულყოფილი ცოდნა და ინფორმაცია საკანონმდებლო დონეზე განხორციელებული ცვლილებების შესახებ, ან ფლობენ არასწორ ინფორმაციას. აუცილებელია ფართო მასშტაბიანი საინფორმაციო კამპანიის წარმოება „მხარდამჭერის ინსტიტუტი“-ს შესახებ, რომლის შედეგადაც შშმ პირებსა და მათი ოჯახის წევრებს ექნებათ სრულყოფილი ინფორმაცია განხორციელებული ცვლილებების, ახალი შესაძლებლობებისა და რეგულაციების შესახებ;
2. შშმ პირთათვის სამართლებრივი დაცვის მექანიზმების ხელმისაწვდომობის გაზრდა– ჩატარებული სამი ფოკუს ჯგუფის არც ერთ მონაწილეს არ მიუმართავს შესაბამისი ორგანოსათვის საკუთარი პოლიტიკური თუ სამართლებრივი უფლებების დაცვის ან გაუმჯობესების მიზნით. აღნიშნული ცხადყოფს რეგიონებში სამართლებრივი დახმარების კომპონენტის არსებობის/გაძლიერების საჭიროებას.
3. საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპების რღვევა, განსაკუთრებით საარჩევნო ადმინისტრაციაში დასაქმებულ პირთა გადამზადება და მათი მზაობის გაზრდა შშმ პირთა უფრო მეტად ჩართულობისათვის;

4. ინფრასტრუქტურის ადაპტირების მიმართულებით დაწყებული საქმიანობის გაგრძელება, ადაპტირებული საარჩევნო უბნების რაოდენობის ზრდა და კოორდინაციის გაძლიერება ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან;
5. ადგილობრივი თვითმმართველობის როლის გაძლიერება და გამგებლის წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლება შპმ პირთა უფლებებისა და შესაძლებლობების შესახებ; როგორც მოქალაქეებთან ყველაზე ახლოს მდგომი ინსტიტუტი, აუცილებელია თვითმმართველობა ჩაერთოს შპმ პირთა მიმართ სახელმწიფოს მიერ დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელების პროცესში. მათ უნდა შეასრულონ მედიატორის როლი შპმ პირებსა და ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოებს შორის – ერთის მხრივ მიაწოდონ ინფორმაცია შპმ პირებს განხორციელებული საქმიანობის და შესაძლებლობების შესახებ და მეორეს მხრივ მიაწოდონ შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებს ინფორმაცია კონკრეტულ დასახლებებში – შპმ პირთა კონკრეტული საჭიროებების შესახებ;